ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N207

2016 წლის 23 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი"-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზს" მითითებული გაზსადენის საპროექტო მდებარეობის სიტუაციური გეგმის მიხედვით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქობულეთის გაზმომარაგებისათვის საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენების მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.

2. შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზმა" უზრუნველყოს საშუალო და დაბალი წნევის მიწისქვეშა გაზსადენის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე


ქოფ. ჭიბუდეთი